

## ფეხიცილი -

დისკრიმინაციული დანაშაული  
და მასთან ბრძოლის სახელმწიფო  
ვალდებულება



კავშირი „საფარი“

კავშირი “საფარი”

**ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული  
და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება**



თბილისი,  
დეკემბერი, 2016

პუბლიკაცია მომზადებულია კავშირი “საფარის” მიერ “ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს” და “ქალთა ფონდის” ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდების პოზიციას და შესაბამისად, ისინი არ არიან პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ავტორები: მარი კურტანიძე

ნინო აბრამიშვილი

ზაია პატარაია

კავშირი “საფარი” - მისამართი: ქანთარიას 11/ა, 0160, თბილისი, საქართველო; ტელეფონი: 032 2 307 603; ვებგვერდი: [sapari.ge](http://sapari.ge)

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საფარის” წერილობითი ნებართვის გარეშე.

(c) 2016, კავშირი “საფარი

<b>სარჩევი</b>	
<b>შესავალი</b>	<b>2</b>
<b>ტერმინთა განმარტება</b>	<b>3</b>
<b>ფემიციდი, როგორც გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია</b>	<b>5</b>
გენდერულად მოტივირებული მკვლევლობების გამომწვევი მიზეზები	5
ფემიციდის რისკ-ფაქტორები	7
წყვილის ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტორები	7
სოციუმთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორები	8
მედიასაშუალებების მიერ სტერეოტიპების კვლავწარმოება	8
სახელმწიფო სერვისების ეფექტურობა	9
მსხვერპლთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები	9
მოძალადესთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები	10
<b>ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო</b>	<b>11</b>
გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW)	12
ევროპული სტანდარტები	14
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო	16
ინტერ-ამერიკული სასამართლო	19
<b>სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება</b>	<b>20</b>
ზოგადი მიმოხილვა	20
ქალის მიმართ ძალადობის თავიდან აცილების ვალდებულება	22
საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები	23
პროფესიული გადამზადება	23
გენდერულად სპეციფიკური მონაცემთა ბაზის წარმოება	24
ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების ვალდებულება ინდივიდუალური შემთხვევების დროს	24
გამოძიების დაწყებისა და დამნაშავეს დასჯის ვალდებულება	25
მსხვერპლისათვის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისა და შესაბამისი ანაზღაურების მიკუთვნების ვალდებულება	26
<b>საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციები : UPR, CEDAW, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხენებელი</b>	<b>28</b>

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR)	28
CEDAW დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ	29
ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხენებელი	30
<b>დასკვნა</b>	<b>32</b>

*„უწყვეტ ძალადობას დაქვემდებარებული ქალები  
მუდმივად იმყოფებიან სიკვდილით დასჯის შიშის ქვეშ“*

ქ-ნ რაშიდა მანჯუ, ქალთა მიმართ ძალადობის,  
მისი მიზეზებისა და შედეგების სპეციალური მომხსენებელი  
(A/HRC/20/16)

## შესავალი

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. საზოგადოება კვლავ ცხოვრობს სტერეოტიპულ გარემოში, სადაც, უმრავლეს შემთხვევაში, ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გამართლებული ქმედებაა. საქართველოს სახალხო დამცველის, 2015 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, რომელიც ქალთა უფლებრივ მდგომარეობას ეხება, საანგარიშო პერიოდში შემაშფოთებელი იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები და სიმძაფრე. 2015 წელს ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება 26 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო. აქედან, 14 შემთხვევა ოჯახში ძალადობის პირობებში იქნა ჩადენილი<sup>1</sup>. შემფოთების საფუძველს გვადლევს აგრეთვე ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში, მსხვერპლს შესაბამისი რეაგირების თხოვნით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის ინციდენტამდე ჰქონდა მიმართული. საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებასთან ერთად, მთავარ გამოწვევას დაცვისა და დახმარების ღონისძიებების არაეფექტური გამოყენება წარმოადგენს. ხშირად, ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასაცავად არ ხდებოდა იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული და შესაბამისად, მათი თხოვნა დახმარების თაობაზე სამართალდამცავების მხრიდან უგულებელყოფილი რჩებოდა<sup>2</sup>.

აღნიშნული დოკუმენტის მიზანია ცნობიერების ამაღლება ფემიციდისა და სახელმწიფო ვალდებულებების შესახებ: ფემიციდთან და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების ანალიზის მომზადება, რაც დაეხმარება საქართველოში მოქმედ შესაბამის უწყებებს სწორი რეაგირება მოახდინონ ქალზე ძალადობის ფაქტზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ფატალური შედეგი. ხოლო როდესაც სახეზე იქნება ქალთა მკვლელობა, დადგინდეს კავშირი მკვლელობასა და გენდერულ დისკრიმინაციას შორის და გათვითცნობიერებულ იქნას სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, რომელიც არაერთი საერთაშორისო

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა“, 2016 წელი, გვ. 36.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 35.

ინსტრუმენტით არის აღიარებული. ბროშურაში აგრეთვე განხილული იქნება მსხვერპლისათვის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება.

ზემოაღნიშნულ ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების კუთხით მნიშვნელოვანია შემდეგი სტანდარტები: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) და ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის პრაქტიკა, ინტერ-ამერიკული სასამართლოს პრაქტიკა, გაეროს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ორგანოების ანგარიშები, რეკომენდაციები და სხვა.

## ტერმინთა განმარტება

გენდერ - სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე;<sup>3</sup>

დისკრიმინაცია - ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, რომელიმე ნიშნის გამო, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ცნობის, გამოყენების ან განხორციელების მოსპობას ან შელახვას.

პირდაპირი დისკრიმინაცია - არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად<sup>4</sup>.

ირიბი დისკრიმინაცია - არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად<sup>5</sup>.

---

<sup>3</sup> საქართველოს კანონი გენდერულ თანასწორობის შესახებ, 2010 წლის 12 აპრილი, მუხლი 3.

<sup>4</sup> საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველ ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 2014 წლის 2 მაისი, მუხლი 2.

<sup>5</sup> იქვე, მუხლი 2 (3).

ფემიციდი - ქალთა მკვლელობა გენდერის ნიშნით<sup>6</sup>.

სახელმწიფო ვალდებულებები - სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეფუძნება ქმედებებსა და უმოქმედობებს სახელმწიფოს წარმომადგენლების ან ისეთი სუბიექტების მიერ, რომელთა ქმედებებიც მიეკუთვნება სახელმწიფოს. სახელმწიფოს გააჩნია ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები.

ნეგატიური ვალდებულება - სახელმწიფოს აიძულებს, თავი შეიკავოს აკრძალული ქმედებებისაგან.

პოზიტიური ვალდებულება - გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას პირთა უფლებები და თავისუფლებები სხვა პირთა მხრიდან ჩარევისაგან და გაატაროს ღონისძიებები ამ თავისუფლებათა დაცულობის უზრუნველსაყოფად, უფლებების აღსადგენად და ზიანის გამოსასწორებლად.

## **ფემიციდი, როგორც გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია**

ქალის მიმართ ძალადობა ქმედებების ფართო სპექტრს მოიცავს - დაწყებული სიტყვიერი შევიწროებით და ემოციური ძალადობის სხვა ფორმებით, დამთავრებული ყოველდღიური ფიზიკური ან სექსუალური ძალადობით. აღნიშნულ ქმედებებს კი ბოლოს მივყავართ ქალთა მკვლელობამდე, ანუ ფემიციდამდე. ფემიციდის მსხვერპლი ქალების 70% სიკვდილამდე იყო დაქვემდებარებული მათი მკვლელი პარტნიორების მიერ ფიზიკურ ძალადობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მსხვერპლის მიმართ ძალადობა არის ფემიციდის უპირველესი რისკ ფაქტორი<sup>7</sup>.

ამჟამად ევროპაში ტერმინი ფემიციდი ფართოდ გავრცელებულია, დაიანა რასელის მიერ დამკვიდრებული მნიშვნელობით და გულისხმობს - ქალის განზრახ მკვლელობა, იმის გამო, რომ იგი ქალია. ტერმინი ხშირად გამოიყენება სოციოლოგებისა და კრიმინოლოგების მიერ, თვითმკვლელობათა გენდერული პერსპექტივით შესწავლისათვისაც<sup>8</sup>. ის წარმოადგენს ქალის მიმართ ძალადობის ყველაზე ექსტრემალურ

---

<sup>6</sup> იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომელთაც ფემიციდის დანაშაულის კრიმინალიზაცია მოახდინეს, სხვადასხვანაირად განმარტავენ აღნიშნულ დანაშაულს. მაგალითად ბრაზილის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ფემიციდი გულისხმობს ისეთ დანაშაულს, რომელიც მოიცავს ოჯახურ ძალადობას, შეურაცხყოფას ან ქალთა მიმართ დისკრიმინაციას.

<sup>7</sup> Campbell J. C., Risk Factors for Femicide in Abusive Relationships: Results From a Multisite Case Control Study, American Journal of Public Health. 2003; გვ. 93.

<sup>8</sup> Spinelli, B: "Femicide and Feminicide in Europe. Gender-motivated killings of women as a result of intimate Partner of intimate partner violence", Expert Paper, October 2011, გვ. 7.



ფორმას, რაც არის ქალის მიმართ დისკრიმინაციის საზოგადოებაში არსებული ყველაზე შოკისმომგვრელი სიმპტომი. გენდერული ნიშნით მკვლელობა, როგორც წესი, არ არის იზოლირებული ქმედება, რომელიც ხდება უეცრად და მოულოდნელად, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, არის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობის განგრძობადი ქმედების საბოლოო აქტი<sup>9</sup>.

## გენდერულად მოტივირებული მკვლელობების გამომწვევი მიზეზები

ოჯახში ძალადობის შემთხვევები სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების ყველაზე უფრო რთულ სფეროს წარმოადგენს, რადგან ოჯახური ძალადობის შემთხვევების დიდი ნაწილი პოლიციისთვის მიმართვის გარეშე რჩება. იმ შემთხვევაში კი, როცა ხდება პოლიციისთვის მიმართვა, პოლიცია აღნიშნული საქმის გენდერული პერსპექტივით შესწავლას არ ახდენს<sup>10</sup>. ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორც არის მოძალადის პიროვნება, მისი კავშირი მსხერპლთან, ძალაუფლებრივი კავშირი ხშირად უგულვებელყოფილია გამოძიების დაწყების თუ მიმდინარეობის პროცესში.<sup>11</sup>

ოჯახი ის ადგილია, სადაც ქალთა მიმართ ძალადობა ყველაზე მეტად არის გავრცელებული. ინტიმურ-პარტნიორული ძალადობა (Intimate partner violence- IPV) ქალის მიმართ ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა.<sup>12</sup>

დაფნე პროექტი 2007-2013 (Daphne Project 2007-2013) მოიცავდა კვლევას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ინტიმურ-პარტნიორულ ურთიერთობებთან დაკავშირებული მკვლელობების შესახებ. კვლევამ შემამოთხვევითი შედეგები აჩვენა: ევროპაში ყოველწლიურად 3 500 ადამიანის სიკვდილი უკავშირდება ინტიმურ-პარტნიორულ ურთიერთობებს, რაც დღეში 9 გარდაცვლილ ადამიანს ნიშნავს. აღნიშნული მონაცემების მიხედვით 9 გარდაცვლილიდან 7 ქალია<sup>13</sup>.

აღიარებულია, რომ ფემინიციდის რისკ ფაქტორებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებული ფაქტორი ფიზიკური ძალადობის ისტორიაა მოძალადესა და მსხვერპლს შორის. სხვა მნიშვნელოვან რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება: ექვიანობა, ფიზიკური ან ეკონომიკური შეზღუდვები და სოციალური იზოლაცია.

---

<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი, ქალებისა და გოგონების გენდერულ ნიშნით მკვლელობები;

<sup>10</sup> იხ. სქოლო 8, გვ. 8.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>13</sup> PROJECT DAPHNE. The research uses official data from national countries and from international sources (Eurostat, WHO, UNODC-HEUNI, Interpol). იხ. სქოლო 8, გვ. 19

კემპბელის მიერ ჩატარებული კვლევა ხაზს უსვამს, რომ შესაძლოა მსხვერპლი არ იყოს დაქვემდებარებული სისტემური ხასიათის ფიზიკურ ძალადობას პარტნიორის ან ოჯახის წევრის მხრიდან, თუმცა მასზე ხორციელდებოდა ძალადობის ისეთი ფორმა, როგორც არის კონტროლი. აღსანიშნავია, რომ ურთიერთობა, რომელიც ერთი შეხედვით არ არის ძალადობრივი ხასიათის და არ მოიცავს ფიზიკური ძალადობის შემთხვევებს, ხშირად სათანადოდ არ ფასდება მსხვერპლის, სოციალური მუშაკების და სამართალდამცავების მიერ. აუცილებელია, მოძალადის მხრიდან მსხვერპლზე კონტროლის განხორციელება, მიჩნეულ იყოს ძალადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად, რომელიც შესაძლოა ფემიციდითაც დასრულდეს<sup>14</sup>.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ ფემიციდად მოიაზრება ასევე ქალის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობა, რომელიც გამოწვეულია გენდერულად მოტივირებული ძალადობით. კვლებით ასევე დასტურდება, რომ თვითმკვლელობის ჩადენის რისკი 5-10ჯერ უფრო დიდია იმ ქალებში, რომლებიც ინტიმურ-პარტნიორულ ურთიერთობებში სისტემურ ძალადობას განიცდიან<sup>15</sup>. სტარკის და ფლიტკრაფტის კვლევის მიხედვით (STARK, E., and FLITCRAFT, A.1995), ოჯახში ძალადობა შესაძლოა იყოს, თვითმკვლელობის ჩადენის ერთადერთი მოტივატორი<sup>16</sup>. შესაბამისად, თვითმკვლელობებთან დაკავშირებით საქმის გამოძიებისას, აუცილებელია მოხდეს გენდერული ასპექტების გათვალისწინება და იმის გამოკვლევა, თუ რამდენად ჰქონდა ადგილი ოჯახური ძალადობით ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტს.

### **ფემიციდის რისკ-ფაქტორები**

ფემიციდის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ფემიციდის, ისევე როგორც სხვა გენდერულად-მოტივირებული დანაშაულებების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი. გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორების და საერთო მახასიათებლების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ფემიციდთან დაკავშირებული რისკ ფაქტორები შესაძლოა რამდენიმე ძირითად ჯგუფად დაიყოს: წყვილებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტორები, სოციუმთან დაკავშირებული ფაქტორები, მსხვერპლთან და მოძალადესთან დაკავშირებული ფაქტორები.

---

<sup>14</sup> NICOLAIDIS, C., CURRY, M.A., ULRICH, Y., SHARPS, P., McFARLANE, J., CAMPBELL, D., GARY, F., LAUGHON, K., GLASS, N., and CAMPBELL, J. (2003), "Could We Have Known? A Qualitative Analysis of Data from Women Who Survived an Attempted Homicide by an Intimate Partner", in *Journal of General Internal Medicine*, Vol.18, October 2003, გვ. 792.

<sup>15</sup> Spinelli B, გვ. 19.

<sup>16</sup> STARK, E., and FLITCRAFT, A. (1995), "Killing the beast within; woman battery and female suicidality", in *International Journal of Health Science*, n.25, 1, S. გვ. 43-64.

## წყვილის ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტორები

ფემიციდის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს, ინტიმურ-პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი წყვილის ურთიერთობის ხასიათს. მიჩნეულია, რომ წყვილის განშორება/გაყრა ფემიციდის ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია. იმ ყვეყნებში სადაც აღნიშნულთან დაკავშირებით სტატისტიკა მოიპოვება, მონაცემებით დადასტურდა რომ 40,46% ფემიციდებისა მოხდა წყვილების დაშორების პერიოდში.<sup>17</sup>

მკვლევარები, რომლებიც გენდერულად მოტივირებულ დანაშაულზე მუშაობენ ადასტურებენ, რომ განშორება ქალისთვის ყველაზე საშიში პერიოდია. განშორების პროცესში ძალადობის ზრდას განაპირობებს ქალის მიერ პარტნიორის მიტოვება, რაც კაცისთვის აღიქმება, როგორც მისი პირადი გამოწვევა, რადგან კაცების მხრიდან ქალი საკუთრებადაა მიჩნეულია.

გადაკიდება (stalking) ერთ-ერთ რისკ ფაქტორად ითვლება. კვლევების თანახმად ქალების 75% განიცდიდა თვალთალს მისი მკვლელობიდან ბოლო 12 თვის განმავლობაში (McFARLANE, J.M., CAMPBELL, 1999)<sup>18</sup>. მოთვალთვალეებს შორის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ კატეგორიად მიჩნეულნი არიან ყოფილი პარტნიორები<sup>19</sup>.

## სოციუმთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორები

სოციუმთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორებს შორის, გამოყოფენ გარშემომყოფთა მხარდაჭერის ნაკლებობის ფაქტორს. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევებში მკვლევლობის შესახებ მუქარას ხშირად ოჯახის წევრები, მეგობრები, მეზობლები თუ თანამშრომლები შესწრებიან, თუმცა ისინი სერიოზულად არ აღიქვამენ ამგვარ მუქარას და არ ერევიან კონფლიქტში, იმ მოტივით, რომ ეს “პირადი საქმეა”<sup>20</sup>.

## მედიასაშუალებების მიერ სტერეოტიპების კვლავწარმოება

სოციუმთან დაკავშირებულ რისკ ფაქტორებზე საუბრისას, ყურადღება აუცილებლად უნდა გავამახვილოთ მედიასაშუალებების მიერ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემების არასწორ რეპრეზენტაციაზე. მედიის წარმომადგენლების დაბალი მგრძობელობა და ინფორმირებულობა გენდერული საკითხების მიმართ

<sup>17</sup> ALDRIDGE, M.L., and BROWNE, K.D. (2003), “Perpetrators of spousal homicide: A review”, in *Trauma, Violence, and Abuse*, n.4, pp.265-276; Spinelli, გვ. 30.

<sup>18</sup> McFARLANE, J.M., CAMPBELL, J.C., WILT, S., SACHS, J., ULRICH, Y. and XIAO, X. (1999), “Stalking and Intimate Partner Femicide”, in *Homicide Studies*, vol.3, issue 4, pp. 300-316.

<sup>19</sup> იხ. სქოლო 8. გვ. 31.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 32.

სოციუმში მითებისა და სტერეოტიპების კვლავწარმოებას იწვევს. ფემიციდის რისკ-ფაქტორები, როგორც არის ღირსების მკვლელობები, წარმოდგენილია, როგორც დანაშაულის მოტივი და ხშირად ხდება მოძალადის წარმოდგენა, როგორც სიყვარულით დაბრმავებული ადამიანისა, რომელიც გრძნობების მსხვერპლია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ფემიციდის შემდეგ, მკვლელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მკვლელიც და მსხვერპლიც, წარმოჩენილნი არიან როგორც ძლიერი სიყვარულის მსხვერპლნი. მსგავსი არასწორი სახით ფემიციდისა და ზოგადად გენდერული- ნიშნით მოტივირებული ძალადობის სხვადასხვა ფორმების წარმოჩენა, ამ მოვლენის ნორმალიზებას ახდენს საზოგადოებაში.

მედიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფემიციდის პრევენციისათვის. იმ შემთხვევაში, თუკი მედიასაშუალებები ამხელენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ მცდარ და მავნე წარმოდგენებს გენდერულ როლებზე, თუკი ქალებს მიაწვდიან ინფორმაციას გენდერული-ძალადობის რისკ ფაქტორებზე და მათი თავიდან არიდების გზებზე, ფემიციდის პრევენცია მნიშვნელოვნად გაიზრდება.

### **სახელმწიფო სერვისების ეფექტურობა**

სახელმწიფოს მხრიდან გენდერული თუ ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმის არარსებობა ფემიციდის რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორია, სახელმწიფო სტრუქტურებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობის პრობლემა. კვლევებით გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი ორგანოების ხელმისაწვდომობა ისეთ ინფორმაციაზე, როგორც არის დამცავი და შემაკავებელი ორდერების ისტორია, ოჯახში ძალადობის ისტორია კონკრეტული შემთხვევის შემთხვევაში, მოძალადის კრიმინალური მონაცემები/ისტორია და ა.შ., მნიშვნელოვანი წინაპირობაა ფემიციდის თავიდან ასარიდებლად (WATT (2008)<sup>21</sup>. სირთულეს იწვევს, ის შემთხვევები როდესაც მსხვერპლი მოძალადისგან წასვლას ახერხებს, თუმცა მოძალადის შესახებ გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების ისტორია, ავტომატურად არ ეგზავნება სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებს. სამართალდამცავ ორგანოებს შორის ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმ შემთხვევებში, როდესაც მოძალადე და მსხვერპლი სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობენ.

რისკ-ფაქტორებს შორის განიხილავენ ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მოძალადისგან განრიდებისთვის აუცილებელი რესურსების ნაკლებობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავშესაფრების არსებობას. ქალები, რომლებიც სისტემატური ძალადობის მსხვერპლნი არიან, ხშირად ვერ ირიდებენ თავიდან ფატალურ შედეგს აუცილებელ მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის სიმცირის გამო.

---

<sup>21</sup> WATT, K.A. (2008), "Understanding risk factors for intimate partner femicide: The Role of Domestic Violence Fatality Review Teams", in WINKEL, F.W. (ed.), *Intimate partner violence prevention and intervention: the risk assessment and management approach*, Nova Science Publishers, New York 2008, გვ. 50;

აღნიშნული ქართულ რეალობაშიც სერიოზული პრობლემაა. არსებული თავშესაფრები და რეაბილიტაციისთვის საჭირო რესურსი, იმდენად მცირეა, რომ ბევრი ქალი რჩება სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური დახმარების გარეშე<sup>22</sup>.

### **მსხვერპლთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები**

მსხვერპლთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტიმურ-პარტნიორული ურთიერთობები ხანგრძლივი ხასიათისაა. მსხვერპლი ძალადობრივ ურთიერთობაში წლების განმავლობაში რჩება. როგორც იტალიაში ჩატარებულმა კვლევამ ცხადჰყო, საშუალოდ ქალები 5-6 წლის განმავლობაში იტანენ ძალადობას მანამ, სანამ სანამართალდამცავ ორგანოებს მიმართავენ. აღნიშნული შესაძლოა 30 წელსაც კი გაგარბელდეს<sup>23</sup>.

მსხვერპლთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი:<sup>24</sup>

- სოციალური დახმარების ნაკლებობა;
- სახელმწიფოს სტრუქტურების მხარდაჭერის ნაკლებობა (სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, უნდობლობა);
- გენდერული სტერეოტიპები (ტრადიციული და რელიგიური შეხედულებები და ცრუწმენები);
- შვილებზე ზრუნვის ფაქტორი;
- ეკონომიკური სტატუსი/უმუშევრობა;
- საცხოვრებელი ადგილის დაკარგვის შიში;
- ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება.

### **მომალადესთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები**

მომალადესთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორებიდან, გამოიყოფა შემდეგი:

---

<sup>22</sup> იხ. სქოლო 8. გვ. 7.

<sup>23</sup> BALDRY, A. (2008), "Intimate partner violence and risk assessment: the implementation of S.A.R.A., Screening version in Italy" , in WINKEL (2008), გვ. 88.

<sup>24</sup> იხ. სქოლო 8. გვ. 34.

- პატრიარქალური ღირებულებები (მკაცრი სტერეოტიპული შეხედულებები მასკულიზაციაზე, მიზოგინია, ქალის აღქმა საკუთრებად)
- ოჯახის სტრუქტურა (ოჯახი, რომელსაც აქვს მკაცრად განსაზღვრული სუბორდინაციული ხასიათი, სადაც ოჯახის თავი მამაკაცია)
- მოძალადის მიერ ბავშვობაში განცდილი ძალადობა (როგორც დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ინტიმურ-პარტნიორულ ურთიერთობებში მოძალადეთა 20% თავად იყო ძალადობის მსხვერპლი ბავშვობაში.<sup>25</sup> კვლევათა დიდი ნაწილი ადასტურებს, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, არიან დიდი რისკის ქვეშ, რომ მოზარდობისას თვითონ იქცნენ მოძალადეებად.<sup>26</sup>
- ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა;
- მოძალადის კრიმინალური ისტორია - წარსულში ნასამართლეობა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები;
- ალკოჰოლზე ან ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება.

იმ ევროპულ ქვეყნებში, სადაც ხორციელდება ინფორმაციის შეგროვება ამ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგი სახის სტატისტიკაა: ესტონეთის მონაცემებით მოძალადეთა 44% იყო ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, 75% - ფინეთში, 51% - უნგრეთში, 24% - დიდ ბრიტანეთში, 42% - ნორვეგიაში<sup>27</sup>.

### **ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო**

ქალის მიმართ ძალადობა - იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური შევიწროება, ქორწინების იძულება, გენიტალიების მუტილაცია - არ წარმოადგენს შემთხვევით ფაქტს, უბედურ შემთხვევას, ან იზოლირებული ძალადობის შემთხვევას. ქალთა მიმართ ძალადობა კულტურის ნაწილია, რომელიც შემწყნარებლურია ქალთა დისკრიმინაციის მიმართ.

ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ფორმად და ადამიანის უფლებათა დარღვევად აღიარება, უკავშირდება გლობალურ ქალთა უფლებების მოძრაობას, რომელმაც საერთაშორისო დონეზე აღიარება მოიპოვა 1990-იანი წლებიდან. ქალთა

<sup>25</sup> DOBASH, R.E., DOBASH, R.P., CAVANAGH, K., and LEWIS, R. (2004), "Not and Ordinary Killer; Just an Ordinary Guy: When Men Murder an Intimate Woman Partner", in *Violence Against Women*, vol.20, iss.6, გვ. 577- 605.

<sup>26</sup> WIDOM, C. (1989a), "The cycle of violence", in *Science*, n.244, pp.160-165; WIDOM, C. (1989b), "Does violence beget violence? A critical examination of the literature", in *Psychological Bulletin*, vol.106, iss.1, გვ. 3-28.

<sup>27</sup> ICRS-VIU, Esplugues, Marmolejo, Esteve and SÁNCHEZ (2010), *op.cit.*, Ch.2, pp.65-99., იხ. სქოლო 8. გვ 36.

მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი (CEDAW) იყო საერთაშორისო დონეზე პირველი ორგანო, რომელმაც ქალთა მიმართ ძალადობა დისკრიმინაციის ფორმად აღიარა. 1993 წელს კი, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ (DEVAW), რომელიც განმარტავს ძალადობის ფორმებს და კონტექსტს, რომელშიც ის ძირითადად ხდება.<sup>28</sup>

პირველი რეგიონალური კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით არის ინტერ-ამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების, დასჯისა და აღკვეთის შესახებ (**Belem Do Para** კონვენცია, 1994), რომლის პრეამბულაში ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევად არის მიჩნეული. მეორე რეგიონალური ხელშეკრულება არის 2003 წელს მიღებული ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის ოქმი აფრიკაში ქალის უფლებების შესახებ. აღნიშნული ოქმი ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრას, ცხოვრების ყველა ასპექტში ქალთა უფლებრივი გაუმჯობესების წინაპირობად განიხილავს.

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია) არის მესამე რეგიონალური ხელშეკრულება, რომელიც მის წინამორბედ ინსტრუმენტებს ეფუძნება და ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლის ჩარჩო ახალ ეტაპზე გადაჰყავს. იგი სავალდებულო ძალის დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის დეფინიციას იძლევა და განსაზღვრავს მას, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევასა და დისკრიმინაციის ფორმას.<sup>29</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია და სამი რეგიონალური ხელშეკრულება ერთად წარმოადგენს გლობალურ საერთაშორისო სამართლის ჩარჩოს, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის სტრატეგიული და ეფექტური ბრძოლისკენ.

### **გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW)**

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ - ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი დოკუმენტი ქალთა თანასწორობის მისაღწევად; კონვენციის არსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს ეფუძნება, რაც გულისხმობს

---

<sup>28</sup> Council of Europe, Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence Against Women and Domestic Violence - Istanbul Convention - A global tool to prevent and combat violence against women and girls - SAFE FROM FEAR, SAFE FROM VIOLENCE, გვ 1.

<sup>29</sup> საქართველომ სტამბოლის კონვენციას ხელ 2014 წელს მოაწერა, თუმცა მისი რატიფიცირება ჯერ არ მომხდარა.

ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მიმართ რწმენის განმტკიცებას<sup>30</sup>.

CEDAW ქალთა მიმართ დისკრიმინაციას შემდეგნაირად განმარტავს:

*„ამ კონვენციის მიზნებისათვის ცნება “დისკრიმინაცია ქალთა მიმართ” ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არარად აქცევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში კაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ, - მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას“<sup>31</sup>.*

საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართალი დიდი ხნის მანძილზე სდუმდა გენდერულად მოტივირებული ძალადობის საკითხთან დაკავშირებით და მას ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევად არ განიხილავდა. აღნიშნულით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ კონვენცია (CEDAW) არ შეიცავს დებულებას გენდერული ძალადობის შესახებ. აღნიშნული მიდგომა მოგვიანებით შეიცვალა, რაც 1992 წელს CEDAW კომიტეტის მიერ გამოცემულ ზოგად რეკომენდაცია No.19- ში აისახა.

No.19 ზოგადი რეკომენდაციის განმარტებაში CEDAW კომიტეტმა აღნიშნა, რომ კონვენციის პირველი მუხლი, რომელიც განმარტავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას, მოიცავს გენდერული ნიშნით ძალადობას. კომიტეტის განმარტებით, *გენდერული ნიშნით ძალადობა არის დისკრიმინაციის ფორმა*, რომელიც სერიოზულად აფერხებს ქალის შესაძლებლობას ისარგებლოს უფლებებითა და თავისუფლებებით კაცთან თანასწორობის საფუძველზე. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი მიუთითებს მჭიდრო კავშირზე ქალთა დისკრიმინაციას, გენდერულ ძალადობასა და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დარღვევას შორის. შესაბამისად, გენდერული ნიშნით ძალადობა წარმოადგენს ქალთა უფლებების პირდაპირ დარღვევას და ხელს უწყობს მათ უუნარობას სრულად ისარგებლონ მთელი რიგი სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით<sup>32</sup>.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის

---

<sup>30</sup> ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ოჯახში ძალადობა და სამართლებრივი დახმარება, იხილეთ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0--direct-10-4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL2.14&d=HASHc7e793ed0e3479630a3d0a>

<sup>31</sup> ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 1979 წლის 18 დეკემბერი, მუხლი 1.

<sup>32</sup> ინტერაიტისი, დისკრიმინაციის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში, სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, 2011 წ., გვ. 228.



(CEDAW) მე-2 მუხლი მოითხოვს მხარე სახელმწიფოებისგან „ყველა შესატყვისი საშუალებით დაუყოვნებლივ განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა“. აღნიშნული გულისხმობს არა მხოლოდ სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას - თავი შეიკავონ ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციული მოქმედების ან პრაქტიკისაგან, და სახელმწიფო ოგანოებისა და დაწესებულებების მოქმედება ამ ვალდებულების შესაბამისად განსაზღვრონ, არამედ ასევე, მის პოზიტიურ ვალდებულებას - „მიიღონ ყველა საჭირო ზომა, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომელიც ქალის დისკრიმინაციას აწესებს“.

საერთაშორისო დონეზე, გაეროს ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართულ შეთანხმებებს/დოკუმენტებს შორის მნიშვნელოვანია, ასევე ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია. იგი ქალთა მიმართ ძალადობას განმარტავს, როგორც გენდერზე დაფუძნებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას, რომლის შედეგიც არის, ან იქნება ქალისთვის მიყენებული ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა, მათ შორის მსგავსი ქმედებების მუქარა, იძულება ან თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, როგორც საჯარო, ისევე კერძო სფეროში<sup>33</sup>.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხენებლის შესახებ. ქალთა მიმართ ძალადობის მეორე სპეციალურმა მომხსენებელმა 2006 წლის ანგარიშში ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების სტანდარტი ძირითადად ფოკუსირებას ახდენდა ქალის მიმართ ძალადობაზე, როგორც განცალკევებულ ქმედებაზე და მხედველობაში არ იღებდა კავშირს ძალადობასა და სხვა უფლებების დარღვევას შორის, მათ თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგად პრინციპებს.<sup>34</sup> გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიუწოდა წევრ ქვეყნებს მიეღოთ ზომები, მათ შორის პრევენციული ზომები და მოეხდინათ შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება და იმპლემენტაცია გოგონებისა და ქალების გენდერული ნიშნით მკვლელობებთან დაკავშირებით და პერიოდულად მომხდარიყო აღნიშნული ღონისძიებების გადახედვა მათი გაუმჯობესების მიზნით<sup>35</sup>.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამაც ნათლად აღიარა კავშირი გენდერული ნიშნით ძალადობასა და დისკრიმინაციას შორის რეზოლუცია 2003/45-ში, რომლის თანახმადაც ქალის მიმართ ნებისმიერი ფორმის ძალადობას ადგილი აქვს ქალის *de jure* და *de facto*

<sup>33</sup> გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია A/RES/48/104, 1993 წლის 20 დეკემბერი.

<sup>34</sup> ქალთა მიმართ ძალადობის მეორე სპეციალური მომხსენებელი, 2006 წლის ანგარიში, E/CN.4/2006/61, პარაგრაფი 19.

<sup>35</sup> გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია A/RES/68/191, 2013 წლის 18 დეკემბერი, პარაგრაფი 3.

დისკრიმინაციის კონტექსტში, რასაც ამჟამად სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი დაცვის საშუალებების მიღების დაბრკოლებები<sup>36</sup>.

### ევროპული სტანდარტები

გენდერული თანასწორობა ევროპის საბჭოს დღისწესრიგის მოწინავე ადგილს იკავებს 1990 წლებიდან. 1993 წელს ევროპის საბჭოს მესამე მინისტრიალის კონფერენცია (European Ministerial Conference) საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის სტრატეგიებს დაეთმო, რომლის შედეგადაც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის სამოქმედო გეგმა შემუშავდა<sup>37</sup>. ერთ-ერთი უმნიშველოვანესი დოკუმენტის მიღება ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის კუთხით 2002 წელს მოხდა, როდესაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა გამოსცა რეკომენდაცია **Rec(2002)5**. აღნიშნული რეკომენდაცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო ინსტრუმენტს, რომელმაც განსაზღვრა ქალთა მიმართ ძალადობის გლობალური სტრატეგია, მოიცვა გენდერული ძალადობის ყველა ფორმა და შეიმუშავა მონიტორინგის განხორციელების ჩარჩო<sup>38</sup>.

მნიშვნელოვანი იყო, სახელმწიფო მეთაურების მესამე სამიტი, რომელიც 2005 წელს ვარშავაში გაიმართა და სადაც სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება განხორციელებინათ ფართო-მასშტაბიანი კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისათვის<sup>39</sup>. კამპანიის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა (Task Force to Combat Violence against Women) თავის საბოლოო ანგარიშში, რომელიც დაეთმო კამპანიის შედეგების ანალიზს და შესაბამის რეკომენდაციებს, ერთ-ერთ რეკომენდაციად განსაზღვრა სპეციალური კომიტეტის - *Ad Hoc Committee on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (CAHVIO)*- შექმნა. კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რეკომენდაციების შესაბამისად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის ხელშეკრულების მომზადება იყო. სწორედ აღნიშნული ჩაყარა საფუძვლად სტამბოლის კონვენციას<sup>40</sup>.

<sup>36</sup> გაეროს ადგილობრივი უფლებათა კომისია, რეზოლუცია 2003/45.

<sup>37</sup> მესამე მინისტრთა კონფერენციის ანგარიშის ოფიციალური ტექსტი ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008b060>,

<sup>38</sup> რეკომენდაციის ოფიციალური ტექსტი ინგლისურ ენაზე, შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=280915>

<sup>39</sup> ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მეთაურების მესამე სამიტი მიღებული სამოქმედო გეგმის ოფიციალური ტექსტი ინგლისურ ენაზე, იხილეთ <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=ActionPlan2005&Language=lanEnglish&Ver=original&direct=true>

<sup>40</sup> სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული საბოლოო ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის საკითხებთან დაკავშირებით ანგარიში შეგიძლიათ

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (სტამბოლის კონვენცია), ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის სფეროში უმნიშვნელოს დოკუმენტს წარმოადგენს. კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობას აღიარებს ადამიანის უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციის ფორმად. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, თუ ისინი ამგვარ ძალადობაზე ადეკვატურ რეაგირებას არ მოახდენენ.<sup>41</sup> აღნიშნული კონვენცია ხელმოწერებისთვის 2011 წლის 11 მაისს გაიხსნა, ძალაში კი 2014 წლის 1 აგვისტოს შევიდა. საქართველო სტამბოლის კონვენციის ხელმომწერი 2014 წელს გახდა. მისი რატიფიკაციისთვის საჭირო პროცედურები, მიმდინარეობის პროცესშია.

კონვენცია ადგენს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის ან სხვა სამართლებრივი სანქციის ამოქმედების საფუძველი გახდეს ისეთი ქმედებები, როგორიცაა:

- ოჯახური ძალადობა (ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობა);
- დევნა (აკვიატებული დევნა/გადაკიდება); სექსუალური ძალადობა, გაუპატიურების ჩათვლით; სქესობრივი შევიწროება;
- იძულებითი ქორწინება;
- ქალის გენიტალიების დასახიჩრება;
- იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია.

ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების ვალდებულებაა ზემოთ-ჩამოთვლილი დანაშაულების საკუთარ სამართლებრივ სისტემებში ასახვა.

კონვენცია მკაფიოდ აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა არ არის პირადი საქმე. პირიქით, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს ბევრად უფრო ძლიერი ტრავმის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ ამგვარი დანაშაულის ჩამდენს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა მიესაჯოს, როდესაც მსხვერპლი მისი მეუღლე, პარტნიორი ან ოჯახის წევრია.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა პროგრესი განიცადა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ინსტრუმენტების შემუშავებაში და მიიღო რიგი ნორმები, (როგორიცაა ევროპული დირექტივა დანაშაულის მსხვერპლთა შესახებ<sup>42</sup> და დირექტივა ევროპული დაცვის წესრიგის შესახებ<sup>43</sup>) რომლებიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ გენდერული

---

ინგლისურ ენაზე იხილოთ:

[http://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/final\\_Activity\\_report.pdf](http://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/final_Activity_report.pdf)

<sup>41</sup> ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, სტამბოლი, 2011 წ. მუხლი 3.

<sup>42</sup> ევროკავშირის დირექტივა დანაშაულის მსხვერპლთა შესახებ 2012/29/EU, 2012 წლის 25 ოქტომბერი.

<sup>43</sup> ევროკავშირის დირექტივა ევროპული დაცვის წესრიგის შესახებ, 2011/99/EU, 2011 წლის 13 დეკემბერი.

ძალადობის მსხვერპლი ქალების საჭიროებებზე. ზემოაღნიშნული დოკუმენტები მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს შეიმუშაონ შესაბამისი სამართლებრივი ნორმები და შიდა პოლიტიკა, რათა აღმოფხვრილ იქნას ქალთა მიმართ ძალადობა, რომელიც მიჩნეულია დისკრიმინაციის ფორმად<sup>44</sup>.

### ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, დისკრიმინაცია გულისხმობს ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებულ მოპყრობას.<sup>45</sup> სასამართლო აღნიშნავს, რომ “ანალოგიური მდგომარეობა” არ გულისხმობს, რომ შესაძარებელი ჯგუფები იდენტური უნდა იყოს. ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მდგომარეობა სრულად ანალოგიური არ არის სხვა პირებთან მიმართებაში და ადგილი აქვს სხვადასხვა ჯგუფების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას, ხელს არ უშლის ამ შემთხვევაზე მე-14 მუხლის გავრცელებას. განმცხადებელმა უნდა აჩვენოს, რომ ის არსებითად მსგავს მდგომარეობაში არის იმ პირებთან შედარებით, რომლებიც სხვანაირ მოპყრობას ექვემდებარებიან<sup>46</sup>.

ზოგადი პოლიტიკა ან ღონისძიება, რომელიც არაპროპორციულ ზიანს აყენებს კონკრეტულ ჯგუფს,<sup>47</sup> შეიძლება მიჩნეულ იქნას დისკრიმინაციად იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული შეიძლება არ იყოს მიმართული ამ ჯგუფზე და პოტენციურად კონვენციის საწინააღმდეგო სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას *de facto* მდგომარეობიდან.<sup>48</sup>

### ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ

<sup>44</sup> იხ. სქოლო 26, პარაგრაფი 17.

<sup>45</sup> უილისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Willis v. the United Kingdom*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, no. 36042/97, პარაგრაფი 48, 2002-IV, და ოკპიზი გერმანიის წინააღმდეგ (*Okpiz v. Germany*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, no. 59140/00, პარაგრაფი 33, 25 October 2005

<sup>46</sup> კლიფტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Clift v. the United Kingdom*), განაცხადი no. 7205/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 13 წლის ივლისის გადაწყვეტილება, § 66.

<sup>47</sup> ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, (*Hugh Jordan v. the United Kingdom*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, no. 24746/94, პარაგრაფი 154, 4 May 2001.

<sup>48</sup> ზარბ ადამი მალტას წინააღმდეგ (*Zarb Adami v. Malta*), განაცხადი no. 17209/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება, § 76. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც იგივე წესს ეფუძნება და აღნიშნავს, რომ „დისკრიმინაციას წარმოადგენს არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლების მოქმედება პირდაპირ ისახავდა მიზნად პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას, არამედ ისეთიც, რომელსაც შედეგად მოჰყვა მათი *de facto* დისკრიმინაცია“.

ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ<sup>49</sup> არის პირველი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ გენდერულად მოტივირებული ძალადობა განიხილა გენდერული თანასწორობის ჭრილში. სასამართლომ, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებზე დაყრდნობით განმარტა, რომ სახელმწიფოს უუნარობა დაიცვას ქალები ოჯახური ძალადობისაგან, არღვევს ქალთა უფლებას თანასწორ დაცვაზე კანონის წინაშე და სახელმწიფოს მოცემული უუნარობა არ არის სავალდებულო იყოს განზრახი.<sup>50</sup>

სასამართლომ განმარტა, რომ ოჯახური ძალადობის საკითხი - რომელსაც შესაძლოა სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს, დაწყებული ფიზიკურიდან, დამთავრებული ფსიქოლოგიურ თუ სიტყვიერ ძალადობამდე - ვერ შემოიფარგლება მოცემული საქმის გარემოებებით. იგი წარმოადგენს ზოგად პრობლემას, რომელიც ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს და რომელიც ხშირად არ საჯაროვდება, რადგან ილუქება პირად ურთიერთობებში ან დახურულ წრეებში და ვრცელდება არა მხოლოდ ქალებზე.

მე-14 მუხლზე მსჯელობისას, რომელიც ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას, სასამართლომ განიხილა თურქეთში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და სახელმწიფოს მხრიდან ამგვარ ძალადობაზე რეაგირების მაჩვენებელი. სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების საკითხის განხილვისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ სავარაუდო დისკრიმინაცია, რომელიც განიხილებოდა მოცემულ საქმეში არ ეფუძნებოდა კანონმდებლობას per se, არამედ გამომდინარეობდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ზოგადი დამოკიდებულებიდან, თუ როგორ ეპყრობოდნენ პოლიციის განყოფილებებში იმ ქალებს, რომლებიც აცხადებდნენ ოჯახური ძალადობის შესახებ, ისევე როგორც მართლმსაჯულების ზოგადი პასიურობიდან (192).

მომჩივანის მიერ წარდგენილი იყო დიარბაკირის ადვოკატთა ასოციაციისა და Amnesty International-ის მიერ მომზადებული ანგარიშები. აღნიშნული ანგარიშების მიხედვით ირკვეოდა, იმ კანონის იმპლემენტაციის სერიოზული პრობლემა, რომელსაც მთავრობა აქტიურად ახსენებდა ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ქალთა დაცვის მექანიზმად. კვლევებმა, ასევე აჩვენეს, რომ როდესაც დაზარალებულები აცხადებდნენ ოჯახური ძალადობის შესახებ პოლიციის განყოფილებებში, პოლიციის ოფიცრები არ იძიებდნენ მათ საჩივრებს, არამედ ცდილობდნენ მედიატორის როლის შესრულებას არწმუნებდნენ რა დაზარალებულებს დაბრუნებულიყვნენ შინ და უკან გამოეხმით საჩივრები. ამ მხრივ, პოლიციის ოფიცრები პრობლემას მიიჩნევდნენ "ოჯახურ საქმედ, რომელში ჩარევაც მათ არ შეეძლოთ"<sup>51</sup>.

მოცემული ანგარიშებიდან ასევე ირკვეოდა, რომ სასამართლო ორდერის გამოცემა უმიზეზოდ ყოვნდებოდა, რადგანც სასამართლოები მათ განქორწინების დავად და არა სასწრაფოდ სამოქმედო საკითხად მოიაზრებდნენ. გაჭიანურება ასევე ხშირი იყო,

<sup>49</sup> ოპუზი თურქეთს წინააღმდეგ (Opuz vs. Turkey), ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო, no 33401/02, 2009 წლის 9 მაისის გადაწყვეტილება

<sup>50</sup> ოპუზი თურქეთს წინააღმდეგ, პ ა რ ა გ რ ა ფ ი 191.

<sup>51</sup> ოპუზი თურქეთს წინააღმდეგ, პ ა რ ა გ რ ა ფ ი 195.

როდესაც საქმე ეხებოდა მოძალადეთა მიმართ ორდერის გამოცემას, რაც განპირობებული გახლდათ პოლიციის ოფიცრების ნეგატიური დამოკიდებულებით. ამასთან, ოჯახური ძალადობის ჩამდენი პირები არ იღებდნენ სასჯელს, რომლის შედეგადაც მათ აღარ მოუხდებოდათ შემდეგი დანაშაულის ჩადენა, რადგან სასამართლოები სასჯელს უმსუბუქებდნენ ჩვეულების, ტრადიციისა თუ ღირსების გამო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ოჯახური ძალადობა შეწყნარებული იყო თურქეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანმა მოახერხა წარედგინა და გაემყარებინა უდავო სტატისტიკური ინფორმაციით, prima facie მითითება მასზედ, რომ ოჯახური ძალადობა ძირითადად ქალებზე ვრცელდებოდა თურქეთში და რომ ზოგადი და დისკრიმინაციული მართლმსაჯულებითი პასიურობა თურქეთში ქმნიდა კლიმატს, რომელიც ხელსაყრელი გახლდათ ოჯახური ძალადობისათვის<sup>52</sup>.

### *ერემია და სხვები მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ*

საქმეში *ერემია და სხვები მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ*<sup>53</sup>, პირველი განმცხადებელი და მისი ორი ქალიშვილი უჩიოდა მოლდოვის ხელისუფლებას, რომელმაც ვერ შეძლო მათი ძალადობისგან დაცვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ არ შეასრულა კონვენციის აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები. მიუხედავად ძალადობის ფაქტზე ინფორმირებულობისა, ხელისუფლებამ არ მიიღო სათანადო ზომები პირველი განმცხადებლის მეუღლის წინააღმდეგ და შესაბამისად, ვერ დაიცვა განმცხადებელი ოჯახური ძალადობისაგან.

აღნიშულ საქმეში, სასამართლომ მიმართა ოპუზში მიღებულ გადაწყვეტილებას და ხელმეორედ გაიმეორა, რომ სახელმწიფოს უუნარობა დაიცვას ქალები ოჯახში ძალადობისგან, ქალთა მიმართ დისკრიმინაციად განიხილება<sup>54</sup>.

სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ დაგვიანებით რეაქციას აპლიკანტის მიმართ ძალადობის ფაქტზე, ან მასზე შესაბამისი რეაგირების განუხორციელებლობას, არამედ იგი ამგვარი ძალადობის მიმართ იყო შემწყნარებლური და შესაბამისად ახორციელებდა დისკრიმინაციას განმცხადებლის, როგორც ქალის მიმართ. მოლდოვის სახელმწიფოს ხელისუფლება, ვერ აფასებდა ოჯახურ

<sup>52</sup> ოპუზი თურქეთს წინააღმდეგ, პარაგრაფი 198.

<sup>53</sup> *ერემია და სხვები მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ*, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო, განაცხადი no 3564/11, 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

<sup>54</sup> იქვე, პარაგრაფი 85.

ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემების სერიოზულობასა და მასშტაბებს და მის უარყოფით გავლენას ქალებზე<sup>55</sup>.

### ინტერ-ამერიკული სასამართლო

ნიშანდობლივია ინტერ-ამერიკული კონვენცია ქალის წინააღმდეგ ძალადობის შესახებ, იგივე ბელემ დო პარაგრაფი კონვენცია (Belém do Pará Convention), ადამიანის უფლებათა რეგიონალური მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელიც ეხება მხოლოდ ქალთა მიმართ ძალადობას, აღწერს თითოეული ქალის უფლებას იყოს თავისუფალი ძალადობისგან, რაც ასევე გულისხმობს დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან ძალადობას<sup>56</sup>.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა კომისიამაც ქალთა მიმართ ძალადობა აღიარა დისკრიმინაციის ფორმად<sup>57</sup>. კომისიამ, თავის პრაქტიკაში დაადგინა მჭიდრო კავშირი თანასწორობის დაცვას, დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებასა და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას შორის. მხედველობაში იქნა მიღებული ის სოციალური კონტექსტი, რომელშიც ქალთა უფლებების დარღვევას აქვს ადგილი. თითოეულ საქმეში კომისიისათვის ნათელი გახდა, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა წარმოადგენდა ჩვეულებისა და პრაქტიკის გამოვლინებას ან იმ სოციალური სტრუქტურის მტკიცებულებას, რომელიც ქალებს აქვეითებს იმ დაქვემდებარებისა და უთანასწორობის პოზიციაზე და შესაბამისად, ტოვებს მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში<sup>58</sup>.

ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ კი საქმეებში - კამპო ალგოდონერო მექსიკის წინააღმდეგ (*Campo Algodonero vs. México* (2010) და ველიზ ფრანკო გუატემალას წინააღმდეგ (*Veliz Franco v. Guatemala* (2014) განსაზღვრა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს იმის აღიარებას, რომ ქალზე ძალადობა მჭიდროდ არის დაკავშირებული დისკრიმინაციასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ფემიციდსა და დისკრიმინაციას შორის კავშირის დადგენა გარდაუვალია. არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ სასამართლო უწყების გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ როდესაც

<sup>55</sup> იქვე, პარაგრაფი 89.

<sup>56</sup> ინტერ-ამერიკული კონვენცია ქალის წინააღმდეგ ძალადობის შესახებ, 1969 წლის 22 ნოემბერი, მუხლი 6.

<sup>57</sup> იხ. მარია დე პენა ბრაზილის წინააღმდეგ (*Maria da Penha v. Brazil*), ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია, No.54/01, 2001 წ.

<sup>58</sup> ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია, ანგარიში oeA/ser.L/V/ii, ძალადობის მსხვერპლ ქალების ხელისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, 2007 წლის 20 იანვარი, პარაგრაფი 59. აგრეთვე იხილეთ მარია დე პენა ფერნანდესი ბრაზილის წინააღმდეგ, 2001 წ.

სახელმწიფო ვერ იცავს ქალებს ოჯახური ძალადობისაგან, ირღვევა მათი კანონის წინაშე თანაბარი დაცვის უფლება და დგინდება დისკრიმინაციის ფაქტი. აღნიშნული ბროშურის შემდეგი ნაწილი კი შეეხება სწორედ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულის საკითხს ფემიციდის შემთხვევაში.

## სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება

ზოგადი მიმოხილვა

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეფუძნება ქმედებებსა და უმოქმედობებს სახელმწიფოს წარმომადგენლების ან ისეთი სუბიექტების მიერ, რომელთა ქმედებებიც მიეკუთვნება სახელმწიფოს.<sup>59</sup> თუმცა, სახელმწიფოს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა მაშინაც, როცა ის ვერ ახდენს არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არაკანონიერი ქმედებებისა თუ უმოქმედობის პრევენციას ან/და მათზე სათანადო რეაგირებას.<sup>60</sup>

თუ სახელმწიფო ვერ ან არ უზრუნველყოფს დარღვეული უფლებების აღდგენას და ზიანის გამოსწორებას, ან უარს ამბობს გამოიძიოს საქმე, ანდა გაუმართავი ან მანკიერი სამართლებრივი სისტემის, სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალი სტანდარტებისა თუ დამკვიდრებული ადმინისტრაციული პრაქტიკის გამო უუნაროა შექმნას დაცულობის გარანტიები, იგი არღვევს მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებს<sup>61</sup>.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოს ძალადობის პრევენცია, გამოძიება და სამართლებრივ დევნა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ჩაიდინა დანაშაული. პოზიტიური ვალდებულებები აიძულებს სახელმწიფოს ჩაერიოს პირად სფეროში, სადაც, ისტორიულად, ის არ ერეოდა. შესაბამისად, სახელმწიფოს მოვალეობაა მიიღოს ყველა სათანადო ზომა ადამიანის უფლებათა დარღვევების, მათ შორის ფემიციდის, პრევენციისათვის. აღნიშნული გულისხმობს, ერთი მხრივ, პრევენციის, გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებასა და მოძალადეების დასჯას და მეორე მხრივ, აღნიშნული კანონმდებლობის ეფექტურ იმპლემენტაციას.

როგორც წესი, გენდერული ძალადობის ჩამდენები არიან ინდივიდები და არა სახელმწიფო. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ერთ-ერთ დაბრკოლებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბევრი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ქალსა და კაცს შორის ძალადობას მიიჩნევს არა დანაშაულად, არამედ ოჯახურ დავად, რომელიც უნდა

<sup>59</sup> საერთაშორისო სამართლის კომისიის ყოველწლიური გამოცემა, 2001 წ, ნაწილი II, პარაგრაფი 77.

<sup>60</sup> ამოს ჰერში, საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლები, ნიუ იორკი, 1918 წ, გვ, 162.

<sup>61</sup> <http://constcentre.ge/ka/comments/36/>



მოგვარდეს სახელმწიფოს ჩარევის გარეშე<sup>62</sup>. აღნიშნული პრობლემის დასაძლევად არაერთმა საერთაშორისო ინსტრუმენტმა დაადგინა, რომ ქალის მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახური ძალადობა არ არის ყოველთვის სახელმწიფოს შიდა საქმე და შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. საერთაშორისო სამართალი კი უფრო მეტად და მეტად აღიარებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას ჩაერიოს და განახორციელოს ქალზე ძალადობის პრევენცია, გამოიძიოს და სისხლისსამართლებრივი დევნა აღძრას ამ შემთხვევებზე და შეიმუშაოს პროცედურული ზომები, მათ შორის დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა და სტერეოტიპების საპასუხოდ, რათა სათანადოდ მოხდეს ძალადობის მსხვერპლთა დაცვა<sup>63</sup>.

სახელმწიფოს ვალდებულება, რეაგირება მოახდინოს ქალთა მიმართ ძალადობაზე და მათ შორის ქალების გენდერული ნიშნით მკვლელობაზე, გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან, რომელთა თანახმადაც სახელმწიფო ვალდებულია თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები დაიცვას, დანაშაულის ჩამდენი პირები დასაჯოს და უზრუნველყოს მსხვერპლები კომპენსაციით<sup>64</sup>. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს თავისი პოზიტიური ვალდებულებები და ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, დასაჯოს ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენნი, იქნებიან ისინი სახელმწიფოს წარმომადგენლები თუ კერძო პირები<sup>65</sup>.

საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან “ჯეროვანი ძალისხმევის” (due diligence) გამოვლენის პრინციპი ქალის მიმართ ძალადობის თავიდან აცილების, გამოძიების, დამნაშავის დასჯისა და მსხვერპლისთვის კომპენსაციის მიკუთვნებისას. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას ეხება, მრავალგზის არის ხაზგასმული სახელმწიფოების ვალდებულება იხელმძღვანელონ ჯეროვანი ძალისხმევის პრინციპით<sup>66</sup>. ჯეროვანი ძალისხმევის სტანდარტი წარმოადგენს შეფასების ჩარჩოს/სისტემას, იმის დასადგენად და გასაანალიზებლად, თუ რამდენად შეასრულა

---

<sup>62</sup> იხ. სქოლო 9, გვ. 228.

<sup>63</sup> იხ. ემ სი ბულგარეთის წინააღმდეგ (M.C. v Bulgaria), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბერი.

<sup>64</sup> ქალთა მიმართ ძალადობის სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/HRC/20/16, 2012 წლის 23 მაისი, პარაგრაფი 82. აგრეთვე იხ. ველსკეს როდრიგესი ჰონდურასის წინააღმდეგ (Velásquez Rodríguez vs. Honduras), ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, 1988 წლის 29 ივლისი.

<sup>65</sup> ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაცია, მუხლი 4; აგრეთვე იხ. CEDAW კომიტეტი, No. 19 ზოგადი რეკომენდაცია, პარაგრაფი 24.

<sup>66</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები: 61/143 - 19 დეკემბერი 2006; 62/133 - 18 დეკემბერი 2007 and 63/155 - 18 დეკემბერი 2008, რომლებიც ეხებოდნენ ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის აღმოფხვრისათვის ძალისხმევის გაძლიერებას.

სახელმწიფომ ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ვალდებულება. შეფასების ჩარჩო, რომლის საზღვრებსაც ჯეროვანი ძალისხმევის სტანდარტი ადგენს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს მხრიდან უმოქმედობით გამოწვეულ სავარაუდო ვალდებულების დარღვევას<sup>67</sup>.

აღსანიშნავია, რომ ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ჯეროვანი ძალისხმევის ვალდებულებას აწესებენ, არ ახდენენ კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრას, არამედ მიუთითებენ, რომ სახელმწიფო ვალდებულია კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად გამოიყენოს მის ხელთ არსებული მექანიზმები, გამოავლინოს კეთილსინდისიერება და უზრუნველყოს შესაბამისი ჯეროვანებით ვალდებულების შესრულება<sup>68</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებები კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალს არ აკეთებენ, საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე ადამიანის უფლებათა მექანიზმებმა რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებში მოახდინეს ჯეროვანი ძალისხმევის სტანდარტის ფარგლებქვეშ ნაგულისხმევი ზოგადი ღონისძიებების განსაზღვრა.

გაეროს სპეციალური მომხსენებლის განმარტების მიხედვით, ჯეროვანი ძალისხმევის სტანდარტი სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის დროს გამოიყენონ ჰოლისტიკური მიდგომა, რაც პრობლემის გამომწვევი სტრუქტურული მიზეზების სიღრმისეულ შესწავლას და მათთან ბრძოლას გულისხმობს<sup>69</sup>.

### **ქალის მიმართ ძალადობის თავიდან აცილების ვალდებულება**

ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, იყო პირველი ადამიანის უფლებათა მექანიზმი, რომელმაც განმარტა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება გამოავლინოს ჯეროვანი ძალისხმევა მესამე პირთა მიერ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის პრევენციის, დამნაშავეების დასასჯის, დარღვეული უფლების აღგენისა და ზარალის კომპენსაციის გაცემისას. სასამართლოს განმარტებით, პრევენცია გულისხმობს, სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი, პოლიტიკური, ადმინისტრაციული და კულტურული ხასიათის ღონისძიებების გამოყენებას. ჯეროვანი ძალისხმევის

<sup>67</sup> გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე, ანგარიში, "ჯეროვანი ძალისხმევის სტანდარტი", E/CN.4/2006/61, 11; ასევე ანგარიში A/HRC/23/49, გვ. 5

<sup>68</sup> Monica Hakimi, "State bystander responsibility", *European Journal of International Law*, vol. 21, No. 2 (2010), გვ. 372.

<sup>69</sup> გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე, ანგარიში "ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობები", A/HRC/20/16, გვ. 3.

სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ საკანონმდებლო ჩარჩო, არამედ მისი ეფექტური იმპლემენტაცია<sup>70</sup>.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე განმარტა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების ვალდებულება გაგებულ უნდა იქნას ფართო მნიშვნელობით. აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფესვებთან და გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლას, პატრიარქალური ღირებულებებისა და სტრუქტურის შეცვლითა და ტრანსფორმაციით ძალადობის შემცირებას და შესაბამისად პრევენციას<sup>71</sup>.

ზემოაღნიშნულ ანგარიშში სპეციალურმა მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ იმისათვის, რათა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ქალთა ძალადობის აღმოფხვრა, იგი გაგებულ უნდა იქნას, როგორც სტრუქტურული ძალადობის ელემენტი, რომელიც ქალებს მთელი ცხოვრების განმავლობაში თან ახლავთ და გამოწვეულია ინდივიდუალური, ოჯახთან დაკავშირებული, ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედებით. ქალთა მიმართ ძალადობის ამგვარი გააზრება, სახელმწიფოს მხრიდან ჯეროვანი ძალისხმევის პრინციპის გამოვლენის ორ ძირეულ განზომილებას მოიცავს: სისტემურს და ინდივიდუალურს. სისტემურ დონეზე ჯეროვანი ძალისხმევის სტანდარტი გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური სისტემისა და სტრუქტურის შექმნას, რომელიც მოახდენს ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას, ხოლო ინდივიდუალურ დონეზე იგი მოითხოვს, კონკრეტული ძალადობის შემთხვევისას მსხვერპლისთვის ძალადობის თავიდან არიდების, მისი დაცვის ღონისძიებების უზრუნველყოფას, მოძალადის დასჯასა და მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის რეპარაგრაფიციას<sup>72</sup>.

ქალთა მიმართ ძალადობის სისტემური პრევენციისათვის სახელმწიფოს ევალება განახორციელოს ღონისძიებები, რომელიც სტრუქტურული ხასიათის დისკრიმინაციისა და ძალადობის შეცვლისკენ იქნება მიმართული. მათ შორის გამოყოფენ შემდეგს:

### **საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები**

საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული კამპანიები მნიშვნელოვანი იარაღია სოციუმში დანერგილი დისკრიმინაციული და ძალადობრივი პრაქტიკების

<sup>70</sup> ინტერამერიკულ სასამართლო, ველსკეს როდრიგესი ჰონდურასის წინააღმდეგ (*Velásquez Rodríguez v. Honduras*, judgement of 29 July 1988), პარაგრაფი 178.

<sup>71</sup> გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე, ანგარიში "ქალთა მიმართ ძალადობა ოჯახში", E/CN.4/1999/68, პარაგრაფი 25.

<sup>72</sup> გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე, ანგარიში "სახელმწიფოს ვალდებულება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით", A/HRC/23/49, პარაგრაფი 20.

გამოვლენისა და მხილებისათვის. კამპანიის საშუალებით სახელმწიფო ვალდებულია შეატყობინოს საზოგადოებას, ქალთა ძალადობის მიმართ მისი ნულოვანი ტოლერანობის შესახებ. კამპანიების საშუალებით სახელმწიფო არა მხოლოდ ებრძვის საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებს და მავნე ტრადიციებს, არამედ ახდენს ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

### **პროფესიული გადამზადება**

ძალიან ხშირად მსხვერპლის სიცოცხლე დამოკიდებულია იმ ადამიანებზე, რომელთაც მისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენა ევალებათ. რევიქტიმიზაცია, ან ფატალური შედეგის დადგომა, დიდწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლების უნარზე სწორად შეაფასონ მდგომარეობა, არსებული რისკები და სწორი მსვლელობა მისცენ საქმეს. სახელმწიფოს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის კუთხით ევალება, სხვადასხვა უწყებაში დასაქმებული მოხელეების გადამზადება და ინფორმაციით აღჭურვა, რათა მათ შეძლონ სწრაფი და ეფექტური რეაგირება, მსხვერპლის გადამისამართება შესაბამის ორგანოებთან და მსხვერპლისათვის ინფორმაციის მიწოდება არსებული სამართლებრივი თუ სხვა სახის მექანიზმების შესახებ. ამასთან, როგორც წინა თავში აღინიშნა, ხშირად სწორედ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები ახდენენ სტერეოტიპების კვლავწარმოებას და ქალთა მიმართ ძალადობრივი გარემოს შენარჩუნების ხელშეწყობას. ოჯახში ძალადობა ოჯახის საქმეა” და სხვა მსგავსი სახის დამოკიდებულებები მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა ძალადობრივი გარემოს შეცვლას. შესაბამისად, რეგულალური სახის ტრენინგები აუცილებელია სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებისათვის.

### ***გენდერულად სპეციფიკური მონაცემთა ბაზის წარმოება***

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემთა ბაზის წარმოება, რომელიც გენდერულად მოტივირებული დანაშაულებების აღრიცვას მოახდენს. სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება ხელს უწყობს იმ ნიშან-თვისებების გამოვლენას, რომელიც დანაშაულთან მიმართებით კონკრეტული სოციუმისთვის და ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი, რაც შემდგომში დანაშაულთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგიის დაგეგმვის წინაპირობაა.

## *ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების ვალდებულება ინდივიდუალური შემთხვევების დროს*

სახელმწიფოს მხრიდან ქალზე ძალადობის თავიდან აცილების ვალდებულების ჯეროვნად შესრულება ინდივიდუალური შემთხვევების დროს იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენად დროულად და ეფექტურად შესძლო სახელმწიფომ მის ხელთ არსებული მექანიზმების გამოყენებით რეაგირება მოეხდინა ძალადობის შემთხვევაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ იმსჯელა ქალის მიმართ ძალადობის თავიდან აცილების ვალდებულებასა და ჯეროვანი ძალისხმევის სტანდარტის ფარგლების შესახებ.

სასამართლოს განმარტებით, თანამედროვე საზოგადოებაში პოლიციის ვალდებულებების განხორციელების, ადამიანის ქცევის განუჭვრეტელობისა და იმ ოპერატიული არჩევანის გათვალისწინებით, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებისა და რესურსების მიხედვით, პოზიტიური ვალდებულების მასშტაბი არ უნდა იქნას იმგვარად განმარტებული, რომ შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი დაეკისროს ხელისუფლებას<sup>73</sup>.

სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რათა დადგეს სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების დარღვევა, უნდა დამტკიცდეს, რომ “ხელისუფლებამ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა პირის სიცოცხლისადმი მესამე პირის ქმედებით გამოწვეული რეალური და დაუყოვნებელი საფრთხის არსებობის შესახებ მოცემულ დროს და რომ ხელისუფლებამ, აღნიშნულის გათვალისწინებით, არ მიიღო ზომები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც მათ გონივრულობის ფარგლებში მოეთხოვებოდათ საფრთხის თავიდან ასარიდებლად”<sup>74</sup>.

სასამართლოს განმარტებით, მომჩივანის მხრიდან საკმარისია იმის ჩვენება, რომ ხელისუფლებამ არ გააკეთა ყველაფერი, რაც მას გონივრულობის ფარგლებში მოეთხოვებოდა, რათა თავიდან აეცილებინათ რეალური და დაუყოვნებელი საფრთხე სიცოცხლის წინააღმდეგ, რომელიც მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ<sup>75</sup>.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ გონივრულობის ფარგლები და “ჯეროვანი ძალისხმევის სტანდარტი”, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების შესაბამისად უნდა შეფასდეს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ. აღნიშნულ ფაქტორებზე რეაგირების ხასიათი ერთგვარ საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად შესძლო სახელმწიფომ გაეკეთებინა “ყველაფერი, რაც მას გონივრულობის ფარგლებში

<sup>73</sup> ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ, პარაგრაფი 129

<sup>74</sup> იქვე, პარაგრაფი 129.

<sup>75</sup> იქვე, პარაგრაფი 130.

მოეთხოვებოდა”. პრევენციული ოპერატიული ზომების განსაზღვრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ფაქტორებზე:

- დანაშაულის სერიოზულობის ხარისხი;
- მსხვერპლის დაზიანება ატარებს ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ხასიათს;
- გამოიყენა თუ არა ბრალდებულმა იარაღი;
- თავდასხმის შემდეგ განახორციელა თუ არა ბრალდებულმა მუქარა;
- დაგეგმა თუ არა ბრალდებულმა თავდასხმა;
- ოჯახში მცხოვრებ ბავშვებზე გავლენა (მათ შორის ფსიქოლოგიური); დამნაშავის მიერ ხელახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობა;
- მსხვერპლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ არსებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების განგრძობადი საფრთხე;
- დაზარალებულის ახლანდელი ურთიერთობა ბრალდებულთან; დევნის განხორციელების შემთხვევაში ურთიერთობაზე სავარაუდო გავლენა;
- ურთიერთობის ისტორია, განსაკუთრებით, არსებობდა თუ არა ძალადობის შემთხვევები წარსულში;
- და ბრალდებულის კრიმინალური წარსული, განსაკუთრებით კი წინა ძალადობრივი დანაშაულის არსებობა<sup>76</sup>.

### **გამოძიების დაწყებისა და დამნაშავის დასჯის ვალდებულება**

ქალთა მიმართ ძალადობის საქმეების გამოძიებისა და მოძალადისთვის სასჯელის შეფარდებისას პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ხშირად თვითონ არიან სტერეოტიპებისა გავლენის ქვეშ. გამოძიების ეტაპზე პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევების უმნიშვნელოდ მიჩნევა, თუკი ძალადობას არ ახლავს ძლიერი ფიზიკური დაზიანება. გენდერულად-სპეციფიკური თვალთახედვის, ქალთა მიმართ ძალადობისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, გამომწვევი მიზეზების შესახებ სპეციალური ცოდნისა და გენდერული მგრძობელობის გარეშე, გამოძიების მიღმა რჩება ძალადობის მრავალი ფორმა, რომლის ატანაც ქალებს წლების, ხშირად კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში უწევთ<sup>77</sup>.

ხშირია შემთხვევები, როდესაც პროკურორები და მოსამართლეები უფრო მეტად ეყრდნობიან დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებს და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მტკიცებულებების მოპოვებას და მათ შემდგომ გამოყენებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახურ დავებში ხშირია მსხვერპლისა და მოწმეების მხრიდან ძალადობის ფაქტების დამალვა და მოძალადისთვის ხელის დაფარება. ოჯახური დავის სპეციფიკურობიდან

<sup>76</sup> იქვე, პარაგრაფი 138.

<sup>77</sup> გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე, ანგარიში "სახელმწიფოს ვალდებულება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით", A/HRC/23/49, პარაგრაფი 55.

გამომდინარე, განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ახლობლის, ნათესავისა თუ ნაცნობის წინააღმდეგ ჩვევების მიცემა, მისთვის მძიმე სასჯელის მიკუთვნების შიშით. აღნიშნულ გარემოებებში, როგორც წინასაგამომიებო ეტაპზე გამომძიებლებს, ასევე პროკურორებსა და მოსამართლეებს განსაკუთრებით მოეთხოვებათ ფაქტების სრული ზედმიწევნით გამოკვლევა და ობიექტურ მსჯელობაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება, რათა არ დასჯერდნენ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ფსიქოლოგიური სტრესის, შიშისა თუ სხვა გარემოებების გამო უწევთ უკან დახევა<sup>78</sup>.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა, მის ანგარიშში ხაზი გაუსვა, სასამართლო პროცესების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე დამკვიდრებულ ტენდენციას, როდესაც მოსამართლეთა სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო საქმეზე ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება არ დგინდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები განსაკუთრებული მგრძობელობით არიან განწყობილნი მოძალადე ქმრების მიმართ, რადგან მათი აზრით, ქმარი წარმოადგენს “ოჯახის უფროსს”, “გვარის გამგრძელებელს”, “ოჯახის მარჩენალს”; ხოლო ქალის მიერ ავლენენ სრულიად საპირისპიროს - ეჭვი შეაქვთ მათი ჩვენების სიზუსტეში, უგულვებელყოფენ ან არასათანადო ყურადღებს უთმობენ მათ გამოცდილებას, ხანდახან ბრალსაც კი სდებენ ქმრისთვის თანხის გამოძალვის მცდელობაში<sup>79</sup>.

მსხვერპლისათვის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისა და შესაბამისი ანაზღაურების მიკუთვნების ვალდებულება

გოგონებისა და ქალების ინფორმირებულობისა და სასამართლო თუ სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების ხელმისაწვდომობის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ქალთა მიმართ ძალადობის სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზიანის ადეკვატური ანაზღაურებით უზრუნველყოფის საშუალება გულისხმობს ქალებისათვის როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საშუალებების ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ეფექტიან დაცვას, მხარდაჭერასა და ძალადობას გადარჩენილი პირების რეაბილიტაციას. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ არაერთხელ მოუწოდა წევრ ქვეყნებს მიეღოთ ზომები უფრო სისტემატიური, ყოვლისმომცველი, მულტისექტორული და მდგრადი მიდგომების

<sup>78</sup> იქვე, პარაგრაფი 53.

<sup>79</sup> გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე, ანგარიში “სახელმწიფოს ვალდებულება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით”, A/HRC/23/49, პარაგრაფი 56.

შესამუშავებლად და შეემუშავებინათ ეროვნული სამოქმედო გეგმები, რათა ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა იყოს უზრუნველყოფილი<sup>80</sup>.

გაეროს გენერალური ასამბლეის 60/147 რეზოლუციის თანახმად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევის მსხვერპლს უნდა ჰქონდეს ეფექტიან სასამართლო საშუალებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. სხვა საშუალებები მოიცავს ადმინისტრაციული და და სხვა ტიპის ორგანოების, მექანიზმებისა და პროცედურების ხელმისაწვდომობას. საერთაშორისო სამართლით აღიარებული ვალდებულებები უზრუნველყოფილ იქნას მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და საქმის მიუკერძოებელი განხილვა, ასახული უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობაში<sup>81</sup>.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს A/HRC/20/L.10 რეზოლუციის თანახმად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ძალადობას დაქვემდებარებული გოგონებისა და ქალებისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებები, როგორც სასამართლო, ასევე ადმინისტრაციული და სხვა სახის ღონისძიებებით. სახელმწიფოებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ გენდერული ნიშნით მკვლევლობებთან საბრძოლველად.<sup>82</sup>

სახელმწიფო ვალდებულია, რომ უზრუნველყოს მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის სამართლიანი და ეფექტური სამართლებრივი პროცედურები. როგორც გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განმარტა, მიყენებული ზიანისთვის შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა მსხვერპლის დაცვის საშუალებების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია, როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოებისათვის, რადგან ემსახურება სამართლიანობის აღდგენას, რეტრიბუციას და დანაშაულის პრევენციას<sup>83</sup>.

სახელმწიფო პასუხისმგებელია მაშინაც, როდესაც ვალდებულების დარღვევა მოხდა არა უშუალოდ მისი მხრიდან, არამედ მესამე პირის მიერ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მსხვერპლის დახმარება, რათა მან მიიღოს მოძალადის მხრიდან მისთვის მიყენებული ზიანის სათანადო ანაზღაურება. შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაში შედის ისეთი სამართლებრივი სისტემის შექმნა, რომელიც მოახდენს გადაწყვეტილებების ეფექტური აღსრულების უზრუნველყოფას, განსაკუთრებით იმ მოძალადეების შემთხვევებში, რომლებიც თავს არიდებენ შესაბამისი ანაზღაურების გაცემას მსხვერპლთათვის<sup>84</sup>.

<sup>80</sup> ფემიციდი - გლობალური საკითხი რომელსაც სჭირდება ქმედება; გაერთიანებული ერების სისტემის აკადემიური საბჭო, ვენა, პარაგრაფი 86.

<sup>81</sup> გაერო, გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 60/147, 2005 წლის 16 დეკემბერი, პარაგრაფი 12.

<sup>82</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, რეზოლუცია A/HRC/20/L.10.

<sup>83</sup> გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე,

ანგარიში "რეპარაგრაფიცია ძალადობის მსხვერპლ ქალებისთვის" A/HRC/14/22, para 12

<sup>84</sup> იქვე, პარაგრაფი 16.



რეპარაგრაფიციის ფორმა მრავალგვარი შეიძლება იყოს და მოიცავდეს მსხვერპლისათვის დარღვეული უფლების აღდგენას, საწყისი მდგომარეობისთვის დაბრუნებას, თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას, სამუშაოზე აღდგენას, საკუთრების დაბრუნებას, ეკონომიკური და მორალური ზიანისთვის კომპენსაციას, სარეაბილიტაციო ღონისძიებებში მსხვერპლის ჩართვას - სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას, ასევე მსხვერპლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ბოდიშის მოხდის ფორმით ან ფაქტების აღიარების გზით თუ სხვა. მთავარი პრინციპი რეპარაგრაფიციის კონკრეტული ფორმის შერჩევას არის ის, რომ დარღვეული უფლების აღდგენისათვის შეთავაზებული ფორმა პროპორციული იყოს, უფლების დარღვევის სიმძიმესთან, დისკრიმინაციის თუ ძალადობის ფორმასთან, რომელიც ქალმა განიცადა<sup>85</sup>.

ამგვარი დანაშაულების სამართლებრივი დაცვის საშუალებების განხილვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დაცვის საშუალება წარმოადგენდეს მსხვერპლის ხმას, იცავდეს მის ინტერესს და იყოს მისი ოჯახის წარმომადგენელი, რათა არ მოხდეს მათი ვიქტიმიზაცია პროცესის მიერ<sup>86</sup>.

### **საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციები : UPR, CEDAW, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხილველი**

#### **უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR)**

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ოცდამესამე სესიაზე, 2015 წლის ნოემბერში, სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ იქნა საქართველოში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა<sup>87</sup>.

განხილვის შედეგად, საქართველოს მიმართ მონაწილე სახელმწიფოების მიერ გაიცა 203-ი რეკომენდაცია ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ქალთა უფლებებს გაცემული რეკომენდაციებიდან 50 მიემართებოდა, რაც სრული რაოდენობის მეოთხედია და ქალთა საკითხების აქტუალობაზე მეტყველებს.

სახელმწიფოების მიერ გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა ზოგადი ხასიათისაა და საქართველოს მოუწოდებს გაამლიეროს ძალისხმევა ქალთა უფლებების დაცვის,

---

<sup>85</sup> იქვე, პარაგრაფი 17.

<sup>86</sup> Fregoso R L., Bejarano C, Terrorizing women: Femicide in the Americas, Durham, NC: Duke University Press, 2010, გვ. 198.

<sup>87</sup> უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში, საქართველოს მიმოხილვასთან დაკავშირებულ დოკუმენტები ინგლისურ ენაზე, იხილეთ: <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/GESession23.aspx>

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის.

სახელმწიფოები საქართველოს მოუწოდებენ, სრულყოს ნაციონალური კანონმდებლობა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ასევე, შესრულდეს CEDAW კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და გაატაროს სპეციალური ზომები;

საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა: ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის შემუშავება და ეფექტური იმპლემენტაცია; საერთაშორისო მექანიზმების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობის ორგანოს შექმნა; ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისების შექმნა და მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების სისტემური ხასიათის ტრენინგი, რათა უფრო ეფექტურად მოახდინონ ოჯახში ძალადობაზე რეაგირება; ოჯახში ძალადობასთან ბრძოლისათვის ადეკვატური მონიტორინგისა და საგამომიებო მექანიზმის შექმნა, ასევე დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულებაზე პასუხისმგებელი ეფექტური მექანიზმის შექმნა და სხვა.

## **CEDAW დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ**

1. კომიტეტმა მის 1227-2 და 1228-ე სხდომაზე, 2014 წლის 8 ივლისს, განიხილა საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიში (CEDAW/C/GEO/4-5)<sup>88</sup>. ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, კომიტეტმა შემაშფოთებლად მიიჩნია შემდეგი საკითხები:

(ა) ქმრების/პარტნიორების მიერ მოკლულ და ოჯახში ძალადობის (იგულისხმება ყველა ფორმა: ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიკური, სექსუალური) მსხვერპლ ქალთა გაზრდილი რაოდენობა;

(ბ) ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით მიმართვიანობის დაბალი დონე, რასაც იწვევს სტიგმა და მოძალადის მიმართ შიში, ისევე როგორც სამართალდამცავი ორგანოებისადმი უნდობლობა, რომლებიც ზოგ შემთხვევაში უარს ამბობენ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ოქმის შედგენაზე;

---

<sup>88</sup> კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები (Concluding Observations), შეგიძლიათ იხილოთ CEDAW-ს ოფიციალურ საძიებო სისტემაში, შემდეგ მისამართზე : [http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en)

- (გ) სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კრიზის ცენტრების და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრების დეფიციტი, განსაკუთრებით სოფლად;
- (დ) ცალკეულ შემთხვევებში, ქალების იძულება ჩაიტარონ ქალიშვილობის ტესტი, რაც არღვევს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპს<sup>89</sup>.

კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს:

- (ა) მიიღოს ზომები, რათა მოხდეს ქმრების/პარტნიორების მიერ ქალთა მკვლელობის და ძალადობის სხვა ფორმების შემცირება;
- (ბ) ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ სექსუალური და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მათ მიერ ამ ფაქტის მხილებას, აამაღლოს მათი ცნობიერება ამ ქმედებათა კრიმინალად კვალიფიკაციის შესახებ და უზრუნველყოს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების ეფექტური გამოძიება, დამნაშავეთა დასჯა და მსხვერპლებისთვის დააწესოს მიღებული ზიანის ადექვატური კომპენსაცია;
- (გ) უზრუნველყოს, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვა და დახმარება, მათ შორის მათი წვდომა სახელმწიფო თავშესაფრებზე და უზრუნველყოს მათი თანამშრომლობა შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- (დ) მოხდეს ქალიშვილობის ტესტის აკრძალვა და დაწესდეს შესაბამისი სანქცია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპს დარღვევისთვის<sup>90</sup>.

### **ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი**

გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქ-ნი დუბრაჯვა სიმონოვიჩი ხუთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში (15-19 თებერვალი, 2016). საქართველოში ვიზიტის შესახებ სპეციალური მომხსენებლის მიერ მომზადებული ანგარიში მოიცავს ვიზიტის დროს გაკეთებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს<sup>91</sup>. რეკომენდაციები მიემართება ოთხ ძირითად სფეროს: კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმირების საკითხი; ძალადობის გამოძიება, მსხვერპლთა დამხმარე სერვისებისა და დამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფა; ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვება და პრევენცია. გვსურს გამოვყოთ რამდენიმე მათგანი:

სპეციალური მომხსენებელი რეკომენდაციებით მიმართავს საქართველოს მთავრობას:

კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმირების საკითხი

<sup>89</sup> CEDAW და სკვნიით შენიშვნები საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული კერიოდულ ანგარიშების შესახებ, პარაგრაფი 20.

<sup>90</sup> იქვე, პარაგრაფი 21.

<sup>91</sup> რეკომენდაციები ქართულენაზე, შეგიძლიათ იხილოთ სახალო დამცველს ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf>

- დააჩქაროს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება
- შექმნას სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების, მათ შორის „X. და Y. საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეში მსხვერპლთათვის ადეკვატური ფინანსური კომპენსაციის გამოყოფის შესახებ ასახული რეკომენდაციების განხორციელების ეროვნული მექანიზმი;
- გადახედოს კანონს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რათა გაფართოვდეს მისი მოქმედების არეალი და მოიცვას ქალთა მიმართ ძალადობა;
- გააუქმოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის შემზღვეველი სამართლებრივი და ადმინისტრაციული განსაზღვრება, რათა ძალადობის მსხვერპლთათვის უზრუნველყოფილი იყოს ყველა დამცავი ღონისძიების (დამცავი და შემაკავებელი ორდერები) დაუყოვნებლივი ხელმისაწვდომობა და სერვისებით სარგებლობა (თავშესაფრები)<sup>92</sup>.

ქალთა მიმართ ძალადობის გამოძიებას, მსხვერპლთა დამხმარე სერვისებისა და დამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფის საკითხს

- სრულად აღმოფხვრას პოლიციის მიერ „ხელწერილის“ გამოყენების პრაქტიკა ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს ;
- უზრუნველყოს, რომ ყველა შესაბამისმა ორგანომ გაითვალისწინოს ლეტალობის რისკის შეფასება, სიტუაციის სერიოზულობა და განმეორებითი ძალადობის რისკი გამოძიების ყველა ეტაპზე, რათა შეამციროს რისკები და უზრუნველყოს მსხვერპლის მხარდაჭერა და უსაფრთხოება;
- გაზარდოს სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისული დახმარების ცენტრებში სერვისების რაოდენობა და ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით სოფლებში;
- გაზარდოს სოციალური მუშაკების მხარდაჭერა, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების საკითხებზე;
- განსაზღვროს ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის კომპენსაციის რაოდენობა, ისევე როგორც კომპენსაციის მინიჭების პროცედურა<sup>93</sup>.

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვება და პრევენცია

- შეაგროვოს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის შესახებ მონაცემები;

<sup>92</sup> ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ

სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2016, პარაგრაფი 99.

<sup>93</sup> იქვე, პარაგრაფი 100.

- შექმნას „ფემიციდზე ზედამხედველობის მექანიზმი“ ან „გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობების ზედამხედველობის მექანიზმი“ და შეაგროვოს და გამოაქვეყნოს ფემიციდის შესახებ მონაცემები ყოველწლიურად; შექმნას ცალკე ორგანო ფემიციდის ყოველი შემთხვევის გაანალიზებისათვის, ან ეს დაავალოს რომელიმე არსებულ ორგანოს, რათა მოხდეს დაცვის ღონისძიების ნებისმიერი წარუმატებლობის იდენტიფიცირება პრევენციული ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით<sup>94</sup>.

## დასკვნა

როგორც წინამდებარე ბროშურამ აჩვენა, ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებისა და ორგანოების მიერ მიჩნეულია, როგორც ქალების უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევა. ქალის მკვლელობა კი წარმოადგენს ისეთი უფლებების დარღვევას, როგორცაა სიცოცხლის უფლება, თანასწორობა, ღირსება და დისკრიმინაციის აკრძალვა და ასევე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა. სახელმწიფოებს, შესაბამისად, ეკისრებათ ვალდებულება მოახდინონ პრევენცია, გამოიძიონ და დასაჯონ ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობებში დამნაშავეები, აგრეთვე აუნაზღაურონ ზიანი გადარჩენილ მსხვერპლებსა და მათ ოჯახებს.

სახელმწიფოებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ ფემიციდი არის დანაშაული, რომელიც საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების უმოქმედობის შედეგია, ვინაიდან მათ არ ძალუძთ მოახდინონ პრევენცია, დაიცვან და უზრუნველყონ იმ ქალების სიცოცხლის უფლება, რომლებიც ცხოვრების მანძილზე არაერთხელ დაექვემდებარნენ დისკრიმინაციასა და ძალადობას<sup>95</sup>.

გენდერული ნიშნით მკვლელობების შესაჩერებლად საჭიროა კომპლექსური მიდგომა. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ინსტიტუციურად სუსტია ფემიციდთან საბრძოლველად, მან უნდა შეიმუშაოს უკეთესი საკანონმდებლო სისტემა და შექმნას შესაბამისი სისტემა, რათა მოხდეს მსხვერპლთა და მათი ოჯახების სამართლებრივი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა.

<sup>94</sup> იქვე, პარაგრაფი 102.

<sup>95</sup> რაშიდ მანჯუ ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების სპეციალური მომხსენებელი, ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობები, 2012 წლის 9 ოქტომბრის სიტყვა, გვ. 3.

## რეკომენდაციები

ქალთა მიმართ ძალადობასთან ეფექტური ბრძოლისათვის საქართველოს მთავრობას მოვუწოდებთ:

- უზრუნველყოს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც დამყარებული იქნება პრობლემის კომპლექსურ გააზრებაზე და მიმართული იქნება სტრუქტურული და სისტემური დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ.
- გამოაცხადოს ქალთა მიმართ ძალადობის მიმართ “ნულოვანი ტოლერანტობა” და აწარმოოს შესაბამისი კამპანია.

სამართალდამცავ ორგანოებს მოვუწოდებთ:

- შეისწავლონ ქალზე ძალადობის შემთხვევები გენდერული პერსპექტივით.
- აღიარონ და სათანადო რეაგირება მოახდინონ ქალზე ძალადობის ისეთ ფორმებზე, როგორც არის მოძალადის მხრიდან მსხვერპლის კონტროლი, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა, სექსუალური იძულება, თვალთვალი, ადევნება და სხვა.
- გამოძიების საწყის ეტაპზე, მტკიცებულების შეგროვებისას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და გამოიკვეთოს დანაშაულის ჩადენის მოტივი. გენდერის და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა მნიშვნელოვანია, რათა სასამართლომ სათანადო შეფასება მისცეს ფაქტებს, გამოიყენოს აღნიშნული, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება და შეუფარდოს მოძალადეს 53.3<sup>1</sup> მუხლი.
- საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე შემუშავდეს სახელმძღვანელო გამოძიებისა და დევნისთვის, რომელიც დაეთმობა გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენას, გამოძიების მეთოდოლოგიასა და გამოძიების წარმოების სტრატეგიებს.
- შემუშავებულ იქნას, რისკის შეფასების სქემა (Risk Assessment Methods), რომელიც საშუალებას მისცემს პოლიციას მოახდინოს ძალადობის იდენტიფიცირება და სამომავლო, განმეორებითი ძალადობის თავიდან აცილება.
- გამოძიების საწყის ეტაპზევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთ რისკ ფაქტორებს, როგორც არის: მოძალადის კრიმინალური ისტორია, ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ურთიერთობის ისტორია, მოძალადესა და მსხვერპლს შორის ძალაუფლებრივი კავშირი, მსხვერპლის ეკონომიკური სტატუსი, საცხოვრებელი ადგილის დაკარგვის შიში და სხვა.

- შეისწავლონ ქალის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობები გენდერული ასპექტების გათვალისწინებით და დადგინონ თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი, თუკი თვითმკვლელობამდე მსხვერპლი დაქვემდებარებული იყო სისტემურ ძალადობას.
- დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს, სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის სისტემა, რათა შეუფერხებლად და სწრაფად ხდებოდეს სხვადასხვა სტრუქტურებსა თუ ტერიტორიულ დანაყოფებს შორის ინფორმაციის მიმოცვლა, განსაკუთრებით მოძალადის კრიმინალურ წარსულზე, მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების ისტორიაზე, ოჯახში ძალადობის შემთხვევების ისტორიაზე.
- შეიქმნას გენდერული დანაშაულებებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბაზა, რისი საშუალებითაც მოხდება სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება. აღნიშნული, ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის აუცილებელი კომპონენტი და ეფექტური სტრატეგიის დაგეგმვის წინაპირობაა.
- შეიქმნას შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული გენდერულ-დანაშაულთან ბრძოლის სპეციალური დანაყოფი უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

## ბიბლიოგრაფია

### კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები:

1. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010 წლის 12 აპრილი
2. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 2014 წლის 2 მაისი
3. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეა, 1993 წლის 20 დეკემბერი
4. ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 1979 წლის 18 დეკემბერი
5. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, სტამბული, 2011 წლის 11 მაისი
6. ინტერ-ამერიკული კონვენცია ქალის წინააღმდეგ ძალადობის შესახებ, 1969 წლის 22 ნოემბერი
7. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია A/RES/48/104, 20 დეკემბერი 1993
8. გაერო, გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 60/147, 16 დეკემბერი 2005
9. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 61/143 - 19 დეკემბერი 2006
10. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 62/133 - 18 დეკემბერი 2007
11. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 63/155 - 18 დეკემბერი 2008
12. გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია A/RES/68/191, 18 დეკემბერი 2013



13. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, რეზოლუცია A/HRC/20/L.10.
14. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია, რეზოლუცია 2003/45.
15. ევროკავშირის დირექტივა დანაშაულის მსხვერპლთა შესახებ 2012/29/EU, 2012 წლის 25 ოქტომბერი.
16. ევროკავშირის დირექტივა ევროპული დაცვის წესრიგის შესახებ, 2011/99/EU, 2011 წლის 13 დეკემბერი.
17. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მეთაურების მესამე სამიტზე მიღებული სამოქმედო გეგმის ოფიციალური ტექსტი ინგლისურ ენაზე, იხილეთ:  
<https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=ActionPlan2005&Language=lanEnglish&Ver=original&direct=true>
18. CEDAW კომიტეტი, No. 19 ზოგადი რეკომენდაცია, 1992 წელი

#### ანგარიშები:

1. ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია, ანგარიში oeA/ser.L/V/ii , ძალადობის მსხვერპლი ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, 2007 წლის 20 იანვარი
2. გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში “ჯეროვანი ძალისხმევის სტანდარტი”, E/CN.4/2006/61
3. გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში “ქალის გენდერთან დაკავშირებული მკვლევარობები”, A/HRC/20/16
4. გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში “ქალთა მიმართ ძალადობა ოჯახში”, E/CN.4/1999/68
5. გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში “სახელმწიფოს

ვალდებულება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით”, A/HRC/23/49

6. გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში “რეპარაგრაფიცია ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის” A/HRC/14/22
7. გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2016
8. მესამე მინისტრთა კონფერენციის ანგარიშის ოფიციალური ტექსტი ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე:
9. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008b060>
10. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში, საქართველოს მიმოხილვასთან დაკავშირებული დოკუმენტები ინგლისურ ენაზე, იხილეთ: <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/GESession23.aspx>
11. რაშიდა მანჯუ, ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების სპეციალური მომხსენებელი, ქალთა გენდერული ნიშნით მკვლევლობები, 2012 წლის 9 ოქტომბრის სიტყვა
12. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში “ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა”, 2016 წელი
13. CEDAW კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები (Concluding Observations) საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ CEDAW-ს ოფიციალურ საძიებო სისტემაში, შემდეგ მისამართზე : [http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en)

#### სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. ერემია და სხვები მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ, ( Eremia and others vs. Republic of Moldova) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, no 3564/11, 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

2. ემ სი ბულგარეთის წინააღმდეგ (M.C. v Bulgaria), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბერის გადაწყვეტილება.
3. ველიზ ფრანკო გუატემალას წინააღმდეგ (*Veliz Franco v. Guatemala*) ინტერ-ამერიკული სასამართლო (2014)
4. ველასკეს როდრიგესი ჰონდურასის წინააღმდეგ (*Velásquez Rodríguez vs. Honduras*), ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, 1988 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება.
5. ზარბ ადამი მალტას წინააღმდეგ (*Zarb Adami v. Malta*), განაცხადი no. 17209/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება
6. კამპო ალგოდონერო მექსიკის წინააღმდეგ (*Campo Algodonero vs. México*) ინტერ-ამერიკული სასამართლო, 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება
7. კლიფტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Clift v. the United Kingdom*), განაცხადი no. 7205/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება
8. მარია დე პენა ბრაზილიის წინააღმდეგ (*Maria da Penha v. Brazil*), ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია, No.54/01, 2001 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება
9. უილისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Willis v. the United Kingdom*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, no. 36042/97, 2002 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება
10. ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (*Opuz vs. Turkey*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, no 33401/02, 2009 წლის 9 მაისის გადაწყვეტილება
11. ოკპიზი გერმანიის წინააღმდეგ (*Okpisz v. Germany*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, no. 59140/00, 2005 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება
12. ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, (*Hugh Jordan v. the United Kingdom*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, no. 24746/94, 2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

## სამეცნიერო ლიტერატურა/კვლევები:

1. ამოს ჰერში, საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლები, ნიუ იორკი, 1918 წ
2. ინტერაითსი, დისკრიმინაციის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში, სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, 2011 წ
3. საერთაშორისო სამართლის კომისიის ყოველწლიური გამოცემა, 2001 წ, ნაწილი II
4. ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ოჯახში ძალადობა და სამართლებრივი დახმარება, იხილეთ: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL2.14&d=HASHc7e793ed0e3479630a3d0a>
5. ALDRIDGE, M.L., and BROWNE, K.D. (2003), “Perpetrators of spousal homicide: A review”, in *Trauma, Violence, and Abuse*, n.4, pp.265-276;
6. BALDRY, A. (2008), “Intimate partner violence and risk assessment: the implementation of S.A.R.A., Screening version in Italy”, in WINKEL (2008)
7. CAMPBELL J. C., Risk Factors for Femicide in Abusive Relationships: Results From a Multisite Case Control Study, *American Journal of Public Health*. (2003);
8. Council of Europe, Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence Against Women and Domestic Violence - Istanbul Convention - A global tool to prevent and combat violence against women and girls - SAFE FROM FEAR, SAFE FROM VIOLENCE; 2014
9. DOBASH, R.E., DOBASH, R.P., CAVANAGH, K., and LEWIS, R. (2004), “Not and Ordinary Killer; Just an Ordinary Guy: When Men Murder an Intimate Woman Partner”, in *Violence Against Women*, vol.20, iss.6, pp.577- 605;
10. FREGOSO R L., Bejarano C, *Terrorizing women: Femicide in the Americas*, Durham, NC: Duke Univeristy Press, 2010

11. HAKIMI M, “State bystander responsibility”, *European Journal of International Law*, vol. 21, No. 2 (2010)
12. PROJECT DAPHNE,. The research uses official data from national countries and from international sources (Eurostat, WHO, UNODC-HEUNI, Interpol);
13. McFARLANE, J.M., CAMPBELL, J.C., WILT, S., SACHS, J., ULRICH, Y. and XIAO, X. (1999), “Stalking and Intimate Partner Femicide”, in *Homicide Studies*, vol.3, issue 4, pp. 300-316.;
14. NICOLAIDIS, C., CURRY, M.A., ULRICH, Y., SHARPS, P., McFARLANE, J., CAMPBELL, D., GARY, F., LAUGHON, K., GLASS, N., and CAMPBELL, J. (2003), “Could We Have Known? A Qualitative Analysis of Data from Women Who Survived an Attempted Homicide by an IntimatePartner”, in *Journal of General Internal Medicine*, Vol.18, October 2003
15. SPINELLI, B: “Femicide and Feminicide in Europe. Gender-motivated killings of women as a result of intimate Partner of intimate partner violence”, Expert Paper, October 2011;
16. STARK, E., and FLITCRAFT, A. (1995), “Killing the beast within; woman battery and female suicidality”, in *International Journal of Health Science*, n.25, 1, S.;
17. WATT, K.A. (2008), “Understanding risk factors for intimate partner femicide: The Role of Domestic Violence Fatality Review Teams”, in WINKEL, F.W. (ed.), *Intimate partner violence prevention and intervention: the risk assessment and management approach*, Nova Science Publishers, New York 2008;
18. WIDOM, C. (1989a), “The cycle of violence”, in *Science*, n.244, pp.160-165; WIDOM, C. (1989b), “Does violence beget violence? A critical examination of the literature”, in *Psychological Bulletin*, vol.106, iss.1, pp.3-28.